

**ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის**

**დირექტივა N2013/33/EU**

**საერთაშორისო დაცვისთვის განმცხადებელთა მიღების სტანდარტების შესახებ  
(შესწორებული)**

ევროპის პარლამენტი და ევროპის კავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, კერძოდ, მისი 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს,

ითვალისწინებენ რა, ევროპული კომისიის წინადადებას,

ითვალისწინებენ რა, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას [\(1\)](#),

ითვალისწინებენ რა, რეგიონების კომიტეტის მოსაზრებას [\(2\)](#),

მოქმედებენ რა, სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად [\(3\)](#),

ვინაიდან:

(1) საჭიროა არსებითი ცვლილებები შევიდეს 2003 წლის 27 იანვრის 2003/9/EC დირექტივაში, რომელიც თავშესაფრის მაძიებელთა მიღების მინიმალურ სტანდარტებს [\(4\)](#) აყალიბებს. სიცხადისთვის, აუცილებელია ამ დირექტივის შესწორება.

(2) თავშესაფრის მინიჭების ერთიანი პოლიტიკა, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის ჩათვლით, ევროპის კავშირის იმ ამოცანის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უკავშირდება თავისუფალი, უსაფრთხო და სამართლიანი სივრცის შექმნას მათთვის, ვინც, გარემოებათა გამო, ევროპის კავშირში დაცვას კანონიერად ითხოვს. აღნიშნული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს წევრ სახელმწიფოთა შორის სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის თანაბარი განაწილების პრინციპს, მათ

შორის, ფინანსურ საკითხებშიც.

- (3) 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს, ტამპერეში ჩატარებულ სპეციალურ შეხვედრაზე, ევროპის კავშირის საბჭომ „ლტოლვილის სტატუსის შესახებ“ 1951 წლის 28 ივლისის ჟენევის კონვენციაზე (შემდგომში: „ჟენევის კონვენცია“) დაყრდნობით, 1967 წლის 31 იანვრის ნიუ-იორკის ოქმის შესაბამისად, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის შექმნა გადაწყვიტა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა გამკვების დაუშვებლობის პრინციპი. თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის შექმნის პირველი ეტაპზე მოხდა შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების მიღება, რომლებიც შესაბამის ხელშეკრულებებშია მოცემული. ამ დოკუმენტებს შორისაა 2003/9/EC დირექტივა.
- (4) 2004 წლის 4 ნოემბრის შეხვედრაზე, ევროპის კავშირის საბჭომ „ჰააგის პროგრამა“ მიიღო, რომელიც 2005-2010 წლებისთვის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის სფეროში დასახულ მიზნებს ასახავს. ამ თვალსაზრისით, „ჰააგის პროგრამა“ ევროკომისიას მოუწოდებს, პირველი ეტაპის დოკუმენტები შეაფასოს და მეორე ეტაპის დოკუმენტები და ზომები ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წარუდგინოს.
- (5) 2009 წლის 10-11 დეკემბერის შეხვედრაზე, ევროპულმა საბჭომ მიიღო „სტოკჰოლმის პროგრამა“, რომელიც კვლავ ადასტურებს 2012 წლისთვის დაცვისა და სოლიდარობის ერთიანი ზონის შექმნის ვალდებულებას, რაც დაეფუძნება თავშესაფრის საერთო პროცედურასა და ერთიან სტატუსს იმ პირთათვის, რომლებსაც დაცვის მაღალი სტანდარტებისა და სამართლიანი და ეფექტური პროცედურების გამოყენებით საერთაშორისო დაცვა აქვთ მინიჭებული. „სტოკჰოლმის პროგრამა“ ასევე აღგენს, რომ განმცხადებელი პირების მიმართ მოპყრობა ერთგვაროვანი უნდა იყოს, იმის მიუხედავად, თუ რომელ წევრ სახელმწიფოში წარადგენენ ისინი საერთაშორისო დაცვის განაცხადს.
- (6) ლტოლვილთა ევროპული ფონდისა და ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის რესურსები უნდა მობილიზდეს, რათა წევრ სახელმწიფოებს, რომელთა თავშესაფრის სისტემები, კონკრეტული გეოგრაფიული ან გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ან არაპროპორციულად მძიმე ზეწოლას განიცდის, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის მეორე ეტაპზე გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვის მხრივ გაწეულ ძალისხმევაში სათანადო დახმარება აღმოუჩინონ;
- (7) ამ ეტაპზე, პირველი ეტაპის დოკუმენტთა განხორციელების შეფასების ფონზე, საერთაშორისო დაცვის მაძიებელ განმცხადებელთა (‘განმცხადებელთა’) მიღების

პირობების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა 2003/9/EC დირექტივის ძირითადი პრინციპების დადასტურება.

- (8) კავშირის ფარგლებში განმცხადებელთა მიმართ თანაბარი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, ეს დირექტივა უნდა გავრცელდეს საერთაშორისო დაცვის განაცხადებთან დაკავშირებულ ყველა ეტაპისა და ყველა ტიპის პროცედურაზე, ყველა ადგილსა და ობიექტზე, სადაც მასპინძლობენ განმცხადებლებს და მანამ, სანამ მათ განმცხადებლის სტატუსით წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე ყოფნის უფლება აქვთ.
- (9) ამ დირექტივის გამოყენებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და ოჯახის ერთიანობის პრინციპებთან სრული შესაბამისობა, ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის, გაერო-ს 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენციისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შესაბამისად.
- (10) წევრმა სახელმწიფოებმა, ამ დირექტივის ფარგლებით გათვალისწინებულ პირთა მიმართ მოპყრობისას, საერთაშორისო სამართლის დოკუმენტების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები უნდა დაიცვან.
- (11) ყველა წევრ სახელმწიფოში უნდა ჩამოყალიბდეს განმცხადებელთა მიღების სტანდარტები, რომლებიც მათ ცხოვრების ღირსეული დონითა და ცხოვრების თანაზომიერი პირობებით უზრუნველყოფს.
- (12) განმცხადებელთა მიღების პირობების ჰარმონიზებამ ხელი უნდა შეუწყოს განმცხადებელთა ხელმეორედ გადაადგილების შეზღუდვას, რაც გამოწვეულია მათი მიღების განსხვავებული პირობებით.
- (13) საერთაშორისო დაცვის მაძიებელი ყველა განმცხადებლის მიმართ თანაბარი მოპყრობისა და ევროპის კავშირის თავშესაფრის კანონმდებლობასთან, განსაკუთრებით, „მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების სტანდარტების, ლტოლვილის სტატუსის, ისევე როგორც დამატებითი დაცვის განსაზღვრისას ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებისა და მინიჭებული დაცვის არსის შესახებ“ [\(5\)](#) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 13 დეკემბრის 2011/95/EU დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა, გაფართოვდეს წინამდებარე დირექტივის ფარგლები, რათა მან დამატებითი დაცვის განმცხადებლები მოიცვას.
- (14) ეროვნული ხელისუფლებისთვის უპირველესი ამოცანა მიღების სპეციალური

საჭიროებების მქონე პირთა მიღება უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიღების ისეთი სპეციალური სქემის შექმნა, რომელიც მათი მიღების სპეციალურ საჭიროებებს დააკმაყოფილებს.

- (15) განმცხადებლის დაკავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი პრინციპი, რომლის შესაბამისად, არ შეიძლება პირი დააკავონ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი საერთაშორისო დაცვას მოითხოვს. დაკავება წევრ სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებებისა და ჟენევის კონვენციის 31-ე მუხლის შესაბამისად უნდა მოხდეს. განმცხადებელი შეიძლება დააკავონ მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული გამონაკლისი გარემოებების დროს, რომლებიც ამ დირექტივაში არის ჩამოყალიბებული. დაკავების დროს უნდა დაკმაყოფილდეს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპი, როგორც დაკავების ფორმის, ისე - მიზნის თვალსაზრისით. განმცხადებლის დაკავების პერიოდში მას უნდა ჰქონდეს მისაწვდომობა აუცილებელ პროცედურულ გარანტიებზე, როგორიცაა ეროვნული სასამართლო ორგანოს წინაშე სასამართლო დაცვის საშუალება.
- (16) დაკავების საფუძვლებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების თვალსაზრისით, ცნება 'სათანადო გულმოდგინება', სულ მცირე, მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გადადგან კონკრეტული და გონივრული ნაბიჯები, რათა დაკავების საფუძვლების შემოწმებისთვის საჭირო დრო იყოს მაქსიმალურად ხანმოკლე და არსებობდეს პერსპექტივა, რომ ასეთი შემოწმება წარმატებით მოხდება უმოკლეს დროში. დაკავების ვადა შესაბამისი პროცედურების დასრულებისთვის საჭირო პერიოდს არ უნდა აღემატებოდეს.
- (17) დაკავების საფუძვლები, რომლებიც ამ დირექტივაში არის განსაზღვრული, ზიანს არ აყენებს დაკავების სხვა საფუძვლებს - სისხლის სამართლის საპროცესო ჩარჩოთი გათვალისწინებული საფუძვლების ჩათვლით - რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე გამოიყენება და მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ საერთაშორისო დაცვის შესახებ წარდგენილ განაცხადებთან არ არის დაკავშირებული.
- (18) დაკავების პერიოდში განმცხადებლების მიმართ მოპყრობა უნდა მოხდეს ადამიანის ღირსების სრული პატივისცემით და მათი მიღებისთვის უნდა შეიქმნას სპეციალური სქემა, რომელიც ასეთ სიტუაციაში მათ საჭიროებებს დააკმაყოფილებს. კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის 37-ე მუხლის გამოყენება უნდა უზრუნველყონ.
- (19) შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, როდესაც დაკავების დროს მიღებასთან

დაკავშირებული ზოგიერთი გარანტიების დაუყოვნებელი უზრუნველყოფა ვერ მოხდება, მაგალითად, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ან დაკავების დაწესებულებათა განსაკუთრებული სტრუქტურის გამო. თუმცა, ამ გარანტიებიდან ნებისმიერი გადახვევა დროებითი ხასიათის უნდა იყოს და მხოლოდ ამ დირექტივაში განსაზღვრული გარემოებების საფუძველზე უნდა მოქმედებდეს. გადახვევები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა ამოქმედდეს და სათანადოდ, თითოეული საქმის გარემოებათა გათვალისწინებით უნდა დასაბუთდეს, გამოყენებული გადახვევის სიმკაცრის დონის, მისი ხანგრძლივობისა და მოცემულ განმცხადებელზე მისი ზემოქმედების ჩათვლით.

- (20) განმცხადებლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის უკეთესი უზრუნველყოფის მიზნით, დაკავება უნდა იყოს უკიდურესი ზომა და მისი გამოყენება ყველა არასაპატიმრო ალტერნატიული ღონისძიების სათანადო შესწავლის შემდეგ უნდა მოხდეს. დაკავების ნებისმიერი ღონისძიების განხორციელების დროს განმცხადებლის ფუნდამენტური უფლებები დაცული უნდა იყოს.
- (21) იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროცედურული გარანტიები, რომლებიც განმცხადებელს საშუალებას აძლევს, დაუკავშირდეს ორგანიზაციებს ან პირთა ჯგუფებს, რომლებიც იურიდიულ დახმარებას გაუწევენ, საჭიროა მას ასეთი ორგანიზაციებისა და პირთა ჯგუფების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ.
- (22) საცხოვრისის საკითხის გადაწყვეტისას, წევრმა სახელმწიფოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ასევე, ნებისმიერი განმცხადებლის კონკრეტული გარემოებები, რომელიც დამოკიდებულია ოჯახის წევრებზე ან სხვა ახლო ნათესავებზე, როგორცაა, დაუქორწინებელი არასრულწლოვანი და-მმა, რომლებიც უკვე იმყოფებიან წევრ სახელმწიფოში.
- (23) განმცხადებელთა თვითკმარობის ხელშეწყობისა და წევრ სახელმწიფოთა შორის ფართო განსხვავებათა შემცირების მიზნით, საჭიროა არსებობდეს განმცხადებელთა შრომის ბაზარზე მისაწვდომობის მკაფიო წესები.
- (24) იმისათვის, რომ განმცხადებლისთვის გაწეული მატერიალური დახმარება წინამდებარე დირექტივის პრინციპებს შეესაბამებოდეს, წევრმა სახელმწიფოებმა აღნიშნული დახმარების დონე შესაბამისი მითითებების საფუძველზე უნდა დაადგინონ. აღნიშნული არ გულისხმობს, რომ გამოყოფილი მატერიალური დახმარების დონე ამ სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის გათვალისწინებული დახმარების ტოლფასი იყოს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განმცხადებელთა

მიმართ უფრო ნაკლებად ხელსაყრელი პირობების დადგენა, ვიდრე მათი მოქალაქეებისთვის არის გათვალისწინებული, როგორც ეს ამ დირექტივაში არის განსაზღვრული.

- (25) მიღების სისტემის არამიზნობრივი გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, უნდა განისაზღვროს გარემოებები, რომელთა დროსაც შესაძლებელი იქნება განმცხადებლისთვის განსაზღვრული მიღების მატერიალური პირობების შემცირება ან მისთვის ამ უფლებამოსილების ჩამორთმევა, მაგრამ, ამავედროულად, ყველა განმცხადებლისთვის ღირსეული ცხოვრების სტანდარტი უნდა იყოს უზრუნველყოფილი.
- (26) განმცხადებელთა მიღების სფეროში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მიღების ეროვნული სისტემებისა და წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ეფექტიანობა.
- (27) უნდა მოხდეს კომპეტენტურ ორგანოებს შორის შესაბამისი კოორდინაციის ხელშეწყობა განმცხადებელთა მიღების თვალსაზრისით და, აქედან გამომდინარე, დახმარება უნდა გაეწიოს ადგილობრივ თემებსა და ჩასახლების ცენტრებს შორის ურთიერთობათა ჰარმონიზებას.
- (28) წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, შემოიღონ და შეინარჩუნონ უფრო ხელსაყრელი დებულებები მესამე ქვეყნების მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებიც წევრ სახელმწიფოში საერთაშორისო დაცვას ითხოვენ.
- (29) ამ სულისკვეთებით, წევრ სახელმწიფოებს ამ დირექტივის დებულებების გამოყენება ასევე შეუძლიათ იმ პროცედურებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება გადაწყვეტილებათა მისაღებად დაცვის ისეთი ფორმის განაცხადებისთვის, რომლებიც 2011/95/EU დირექტივით არ არის გათვალისწინებული.
- (30) ამ დირექტივის განხორციელების შეფასება უნდა მოხდეს რეგულარულად.
- (31) ვინაიდან ამ დირექტივის მიზანი - კერძოდ, წევრ სახელმწიფოებში განმცხადებელთა მიღების სტანდარტების ჩამოყალიბება - წევრი სახელმწიფოების მიერ შეიძლება სათანადოდ ვერ იქნეს მიღწეული და, აქედან გამომდინარე, ამ დირექტივის მასშტაბისა და შედეგების გამო, შეიძლება უკეთ იქნეს მიღწეული კავშირის დონეზე, კავშირს შეუძლია, ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-5 მუხლში ჩამოყალიბებული სუბსიდირების პრინციპის

შესაბამისი ზომები მიიღოს. ამ მუხლში ჩამოყალიბებული პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, დირექტივა ამ მიზნის მიღწევისთვის საჭირო ფარგლებს არ ცდება.

- (32) 2011 წლის 28 სექტემბრის განმარტებითი დოკუმენტების შესახებ წევრი სახელმწიფოებისა და კომისიის ერთობლივი პოლიტიკური დეკლარაციის შესაბამისად<sup>(6)</sup>, წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს, დასაბუთებულ შემთხვევებში, მათ მიერ ტრანსპოზიციის ზომების შესახებ შეტყობინებას თან დაურთონ ერთი ან მეტი დოკუმენტი, სადაც დირექტივის კომპონენტებსა და ეროვნული ტრანსპოზიციის დოკუმენტების შესაბამის ნაწილებს შორის მიმართება იქნება განმარტებული. ამ დირექტივასთან მიმართებით, კანონმდებელს მიაჩნია, რომ ასეთი დოკუმენტების გადაცემა სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული.
- (33) თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ 21-ე ოქმის (რომელიც თან ერთვის ევროპის კავშირის ხელშეკრულებასა და ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას) 1-ელი და მე-2 მუხლებისა და მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით და ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის გარეშე, გაერთიანებული სამეფო და ირლანდია ამ დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობენ, არ ეკისრებათ ვალდებულება მის თანახმად ან არ მოეთხოვებათ მისი გამოყენება.
- (34) დანიის პოზიციის შესახებ 22-ე ოქმის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროპის კავშირის ხელშეკრულებასა და ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, დანია ამ დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობს, არ ეკისრება ვალდებულება მის თანახმად ან არ მოეთხოვება მისი გამოყენება.
- (35) წინამდებარე დირექტივა პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს და იცავს პრინციპებს, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით არის აღიარებული. კერძოდ, წინამდებარე დირექტივა მიზნად ისახავს ადამიანის ღირსების სრული დაცვის უზრუნველყოფას და ხელს უწყობს ქარტიის 1-ელი, მე-4, მე-6, მე-7, მე-18, 21-ე, 24-ე და 47-ე მუხლების გამოყენებასა და მათ შესაბამის განხორციელებას.
- (36) წინამდებარე დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვალდებულება უნდა შემოიფარგლოს იმ დებულებებით, რომლებიც 2003/9/EC დირექტივასთან შედარებით, არსებით ცვლილებას წარმოადგენს. ამ დირექტივიდან წარმოიშობა უცვლელად დატოვებული დებულებების

გადატანის ვალდებულება.

(37) წინამდებარე დირექტივამ ზიანი არ უნდა მიაყენოს წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია 2003/9/EC დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის ვადებთან, რომლებიც II დანართის „ბ“ ნაწილშია ჩამოყალიბებული,

მიიღო ეს დირექტივა:

## თავი I

### მიზანი, განმარტებები და ფარგლები

#### მუხლი 1

#### მიზანი

ეს დირექტივა მიზნად ისახავს წევრ სახელმწიფოებში საერთაშორისო დაცვისთვის განმცხადებელთა (შემდგომში: 'განმცხადებელთა') მიღების სტანდარტების ჩამოყალიბებას.

#### მუხლი 2

#### განმარტებები

ამ დირექტივის მიზნებისთვის:

(ა) 'საერთაშორისო დაცვის განაცხადი': ნიშნავს საერთაშორისო დაცვის მიღების მიზნით განაცხადის გაკეთებას, როგორც ეს 2011/95/EU დირექტივის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტშია განსაზღვრული;

(ბ) 'განმცხადებელი': ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც საერთაშორისო დაცვის განაცხადი წარადგინა და რომლის თაობაზე ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის;

(გ) 'ოჯახის წევრები': ნიშნავს, როდესაც წარმოშობის ქვეყანაში ეს ოჯახი უკვე არსებობდა, განმცხადებლის ოჯახის შემდგომ წევრებს, რომლებიც იმავე წევრ სახელმწიფოში საერთაშორისო დაცვის განაცხადთან დაკავშირებით იმყოფებიან:

— განმცხადებლის მეუღლე ან მისი პარტნიორი, რომელთანაც ქორწინებაში არ არის და აქვს სტაბილური კავშირი - იმ შემთხვევაში, თუ მოცემული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა და პრაქტიკა დაუქორწინებელ წყვილს, მესამე



ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებული კანონის საფუძველზე, დაქორწინებული წყვილის თანაზომიერად განიხილავს;

— პირველ აბზაცში მითითებული წყვილის არასრულწლოვანი შვილები, იმ პირობით, რომ ისინი დაქორწინებულნი არ არიან და იმის მიუხედავად, ქორწინებით ან ქორწინების გარეშე დაიბადნენ თუ ნაშვილები არიან, როგორც ეს ეროვნული კანონით არის განსაზღვრული;

— მამა, დედა ან სხვა ზრდასრული პირი, რომელიც განმცხადებელზე არის პასუხისმგებელი მოცემული წევრი სახელმწიფოს კანონის ან პრაქტიკის საფუძველზე, როდესაც ეს განმცხადებელი არის არასრულწლოვანი ან დაუქორწინებელი;

(დ) ‘მცირეწლოვანი’: ნიშნავს მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც არის 18 წლამდე ასაკის;

(ე) ‘თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი’: ნიშნავს არასრულწლოვან პირს, რომელიც წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შედის ისეთი ზრდასრული პირის თანმხლების გარეშე, რომელიც მოცემული წევრი სახელმწიფოს კანონის ან პრაქტიკის საფუძველზე მასზე პასუხისმგებელია და იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე ასეთი პირი მასზე ეფექტურ ზრუნვას განახორციელებს; ეს ასევე მოიცავს არასრულწლოვან პირს, რომელიც თანმხლების გარეშე წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ დარჩა;

(ვ) ‘მიღების პირობები’: ნიშნავს ღონისძიებათა სრულ პაკეტს, რომელსაც წევრი სახელმწიფოები განმცხადებლებს ამ დირექტივის შესაბამისად ანიჭებენ;

(ზ) ‘მიღების მატერიალური პირობები’: ნიშნავს მიღების პირობებს, რომელიც მოიცავს საცხოვრისს, სურსათს და ტანისამოსს, რომელიც ნატურალურად, ფულადი დახმარებით, ვაუჩერით ან სამივე ამ საშუალების ერთობლიობით არის უზრუნველყოფილი და ფულად დახმარებას დღიური ხარჯებისთვის;

(თ) ‘დაკავება’: ნიშნავს წევრი სახელმწიფოს მიერ განმცხადებლის მოთავსებას სპეციალურ ადგილზე, სადაც განმცხადებელს გადაადგილების თავისუფლება აღკვეთილი აქვს;

(ი) ‘ჩასახლების ცენტრი’: ნიშნავს ნებისმიერ ადგილს, რომელიც განმცხადებელთა კოლექტიურ საცხოვრისად გამოიყენება;

(კ) ‘წარმომადგენელი’: ნიშნავს კომპეტენტური ორგანოს მიერ დანიშნულ პირს ან ორგანიზაციას, იმ მიზნით, რომ დაეხმაროს და წარმოადგინოს თანმხლების გარეშე

მყოფი არასრულწლოვანი ამ დირექტივით განსაზღვრულ პროცედურებში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს არასრულწლოვანი პირის სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელება. როდესაც წარმომადგენლად დანიშნული არის ორგანიზაცია, მან უნდა განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი, რომელიც განახორციელებს წარმომადგენლის მოვალეობებს თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანი პირის მიმართებით, ამ დირექტივის შესაბამისად;

(ლ) ‘მიღების სპეციალური საჭიროებების მქონე განმცხადებელი’: ნიშნავს მოწყვლად პირს, 21-ე მუხლის შესაბამისად, რომელსაც სჭირდება სპეციალური გარანტიები, რათა ამ დირექტივით განსაზღვრული უფლებებით ისარგებლოს და ვალდებულებები დააკმაყოფილოს.

### *მუხლი 3*

#### **ფარგლები**

1. წინამდებარე დირექტივა ეხება მესამე ქვეყნის ყველა მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე ყველა პირს, რომელიც საერთაშორისო დაცვის განაცხადს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მათ შორის, წევრი სახელმწიფოს საზღვარზე, ტერიტორიულ წყლებსა თუ სატრანზიტო ზონებში წარადგენს, თუ მათ უფლება აქვთ დარჩნენ ამ ტერიტორიაზე, როგორც განმცხადებელი, ასევე, ოჯახის წევრებს, თუ ეროვნული კანონის საფუძველზე ასეთი განაცხადი მათზე ვრცელდება.
2. წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება იმ შემთხვევებში, როდესაც დიპლომატიური ან ტერიტორიული თავშესაფრის მოთხოვნის წარდგენა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლობებში ხდება.
3. წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება მაშინ, როდესაც გადაადგილებულ პირთა მასიური შემოსვლის შემთხვევაში მათთვის დროებითი დაცვისა და ასეთ პირთა მიღებისა და მისგან გამომდინარე შედეგებისთვის საჭირო ძალისხმევის წევრ სახელმწიფოთა შორის დაბალანსების ხელშემწყობი ღონისძიებების მინიმალური სტანდარტების შესახებ [\(7\)](#) საბჭოს 2001 წლის 20 ივლისის 2001/55/EC დირექტივა გამოიყენება.
4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ამ დირექტივის გამოყენება დაცვის შესახებ ისეთი ტიპის განაცხადების განხილვისას, რომლებიც 2011/95/EU დირექტივიდან არ მომდინარეობს.

### *მუხლი 4*

## **უფრო ხელსაყრელი დებულებები**

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, შემოიღონ ან შეინარჩუნონ უფრო ხელსაყრელი დებულებები იმ განმცხადებელთა და განმცხადებლის ახლო ნათესავთა მიღების თვალსაზრისით, რომლებიც იმავე წევრ სახელმწიფოში იმყოფებიან და განმცხადებელზე დამოკიდებულნი არიან ან ჰუმანიტარული მიზნებისთვის, თუ ეს დებულებები ამ დირექტივას შეესაბამება.

## **თავი II**

### **ზოგადი დებულებები მიღების პირობების შესახებ**

#### *მუხლი 5*

#### **ინფორმაცია**

1. საერთაშორისო დაცვის განაცხადის მიღების დღიდან გონივრულ ვადაში, რომელიც 15 დღეს არ აღემატება, წევრი სახელმწიფო განმცხადებელს ატყობინებს ნებისმიერი დადგენილი სარგებლისა და ვალდებულებების შესახებ, რომლებიც მან მიღების პირობებთან დაკავშირებით უნდა შეასრულოს.

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ განმცხადებელს ჰქონდეს ინფორმაცია ორგანიზაციების ან პირთა ჯგუფების შესახებ, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ დახმარებას უზრუნველყოფენ და ორგანიზაციების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა, დახმარება გაუწიონ მას ან მიაწოდონ ინფორმაცია მიღების არსებული პირობების შესახებ, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხების შესახებ.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაცია არსებობდეს წერილობით და იმ ენაზე, რომელიც განმცხადებელს ესმის ან იმ ენაზე, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ უნდა ესმოდეს. საჭიროების შემთხვევაში, ეს ინფორმაცია შეიძლება განმცხადებელს ზეპირად ეცნობოს.

#### *მუხლი 6*

#### **დოკუმენტაცია**

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ საერთაშორისო დაცვის განაცხადის მიღებიდან სამი დღის ვადაში, განმცხადებელს მიეცეს მის სახელზე

გაცემული საბუთი, რომელიც ადასტურებს მისი, როგორც განმცხადებლის სტატუსს ან მიუთითებს, რომ მას უფლება აქვს, წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი განაცხადის შესწავლამდე იმყოფებოდეს.

თუ საბუთის მფლობელს წევრი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში გადაადგილების უფლება არ აქვს, საბუთში ეს ფაქტიც უნდა იყოს მითითებული.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, გამორიცხონ ამ მუხლის გამოყენება, როდესაც განმცხადებელი დაკავებულია და საზღვარზე ან პროცედურის კონტექსტში წარმოდგენილი საერთაშორისო დაცვის განაცხადის შესწავლის პერიოდში, რათა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განმცხადებლის შესვლის თაობაზე გადაწყვეტილება იყოს მიღებული. კონკრეტულ შემთხვევებში, საერთაშორისო დაცვის განაცხადის შესწავლის განმავლობაში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, განმცხადებელს 1-ელ პუნქტში მითითებული საბუთის ტოლფასი რაიმე სხვა ცნობა მისცენ.

3. 1-ელ პუნქტში მითითებული საბუთი განმცხადებლის ვინაობას უნდა ადასტურებდეს.

4. წევრი სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა განმცხადებელი უზრუნველყონ 1-ელ პუნქტში მითითებული საბუთით, რომელიც ძალაში უნდა იყოს მანამ, სანამ განმცხადებელი უფლებამოსილია, მოცემული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდეს.

5. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, განმცხადებელს სამგზავრო საბუთები მისცენ, იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიშობა სერიოზული ჰუმანიტარული მიზეზები, რომელთა გამოც საჭიროა მისი სხვა სახელმწიფოში ყოფნა.

6. წევრი სახელმწიფოები განმცხადებელს არ აკისრებენ არასაჭირო ან არათანაზომიერ მოთხოვნებს დოკუმენტაციასთან ან ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით მანამ, სანამ მას არ მიანიჭებენ უფლებებს, რომლებიც მას ეძლევა ამ დირექტივის საფუძველზე, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი არის განმცხადებელი, რომელიც საერთაშორისო დაცვას ითხოვს.

## *მუხლი 7*

### **ბინადრობა და გადაადგილების თავისუფლება**

1. განმცხადებელს შეუძლია, თავისუფლად გადაადგილდეს მიმღები წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ამ წევრი სახელმწიფოს მიერ მისთვის განსაზღვრულ

ტერიტორიაზე. ტერიტორიის განსაზღვრამ განმცხადებლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებელ სფეროზე უარყოფითი გავლენა არ უნდა იქონიოს და მას ამ დირექტივით დადგენილ ყველა სარგებელზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საკმარისი ფარგლები უნდა ჰქონდეს.

2. საზოგადოებრივი ინტერესების, საზოგადოებრივი წესრიგის ან, საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვის განაცხადის დაუბრკოლებელი განხილვისა და ეფექტური მონიტორინგის მიზნით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, განმცხადებლის დაბინავების შესახებ გადაწყვეტილება მიიღონ.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დაადგინონ მატერიალური მიღების პირობები, რომელიც დაექვემდებარება კონკრეტულ ადგილზე განმცხადებლის ფაქტობრივ ბინადრობას, რომელსაც განსაზღვრავს წევრი სახელმწიფო. ასეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება იყოს ზოგადი ბუნების, ინდივიდუალურად უნდა იყოს მიღებული და ეროვნული კანონმდებლობით უნდა დადგინდეს.

4. წევრი სახელმწიფოები განმცხადებელს აძლევენ დროებით ნებართვას, დატოვოს მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული ბინადრობის ადგილი და/ან 1-ელ პუნქტში მითითებული მისთვის განსაზღვრული ტერიტორია. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ინდივიდუალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი დასაბუთება.

განმცხადებელს ხელისუფლების წარმომადგენელთან შეხვედრისთვის ან სასამართლოში მისვლისთვის, თუ მისი გამოცხადება აუცილებელია, ნებართვის მიღება არ სჭირდება.

5. წევრი სახელმწიფოები განმცხადებელს სთხოვენ, კომპეტენტურ ორგანოს შეატყობინოს მისი ფაქტობრივი მისამართი და მისამართის ნებისმიერი ცვლილების შესახებ უმოკლეს დროში აცნობოს იმავე ორგანოს.

## *მუხლი 8*

### **დაკავება**

1. წევრ სახელმწიფოებმა პირი არ უნდა დააკავონ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი, საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და გაუქმების ერთიანი პროცედურების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 2013/32/EU დირექტივის შესაბამისად [\(8\)](#), განმცხადებელია.

2. აუცილებლობის შემთხვევაში და თითოეული საქმის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განმცხადებლის დაკავება, თუ სხვა, ნაკლებ იძულებითი ღონისძიება ეფექტურად ვერ იქნება გამოყენებული.

3. განმცხადებლის დაკავება შეიძლება მოხდეს მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში, როდესაც:

(ა) საჭიროა დადგინდეს ან გადამოწმდეს მისი ვინაობა ან ეროვნება;

(ბ) საჭიროა დადგინდეს ის ელემენტები, რომლებსაც საერთაშორისო დაცვის განაცხადი ეფუძნება და რომელთა მოპოვება დაკავების გარეშე ვერ მოხერხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განმცხადებლის მიმალვის საფრთხე არსებობს;

(გ) საჭიროა მიღებული იქნეს დადგენილება, პროცედურის კონტექსტში, განმცხადებლის ტერიტორიაზე შესვლის უფლების შესახებ;

(დ) განმცხადებელი დაკავებულია დაბრუნების პროცედურის საფუძველზე, წევრ სახელმწიფოებში უკანონოდ მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაბრუნების ერთიანი სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ [\(9\)](#) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 16 დეკემბრის 2008/115/EC დირექტივის შესაბამისად, რათა მომზადდეს დაბრუნების და/ან ქვეყნიდან გაძევების პროცესი; ამავდროულად, მოცემულ წევრ სახელმწიფოს, ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მათ შორის, მითითებით იმ ფაქტზე, რომ პირს უკვე ჰქონდა მისაწვდომობა თავშესაფრის პროცედურაზე, შეუძლია დაასაბუთოს, რომ არსებობს გონივრული საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ პირი საერთაშორისო დაცვის განაცხადს მხოლოდ იმ მიზნით აკეთებს, რომ დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება გააჭიანუროს ან შეაფერხოს;

(ე) ამას ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესები მოითხოვს;

(ვ) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის No 604/2013 რეგულაციის 28-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ადგენს კრიტერიუმებსა და მექანიზმებს იმ წევრი სახელმწიფოს განსაზღვრისთვის, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვაზე, რომელიც შეტანილია რომელიმე წევრ სახელმწიფოში მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ [\(10\)](#).

დაკავების საფუძვლები ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა ჩამოყალიბდეს.

4. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ წესები დაკავების ალტერნატივათა შესახებ, როგორცაა ხელისუფლების ორგანოში პერიოდული გამოცხადება, ფინანსური გარანტიების დეპონირება ან განსაზღვრულ ადგილზე ყოფნის ვალდებულება, ეროვნული კანონით დადგინდეს.

## მუხლი 9

### გარანტიები დაკავებული განმცხადებლებისთვის

1. განმცხადებლის დაკავება ხდება მაქსიმალურად ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში და იგი დაკავებული იქნება მანამ, სანამ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოყალიბებული საფუძვლები იარსებებს. ადმინისტრაციული პროცედურების გაჭიანურება, რომელიც არ არის გამოწვეული განმცხადებლის მიერ, არ შეიძლება დაკავების გაგრძელების საფუძვლად ჩაითვალოს.

2. განმცხადებლის დაკავების შესახებ ბრძანებას სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო გასცემს. დაკავების ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რომელსაც იგი დაეყრდნო.

3. როდესაც დაკავების ბრძანებას ადმინისტრაციული ორგანო გასცემს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დაკავების მართლზომიერების სწრაფი სასამართლო კონტროლი, რომელიც შეიძლება საკუთარი ინიციატივიდან გამომდინარე (*ex officio*) და/ან განმცხადებლის მოთხოვნით ჩატარდეს. როდესაც სასამართლო კონტროლი საკუთარი ინიციატივიდან გამომდინარე (*ex officio*) ტარდება, მის შესახებ გადაწყვეტილება დაკავების დაწყებიდან მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე უნდა იყოს მიღებული. როდესაც იგი განმცხადებლის მოთხოვნით ტარდება, მისი ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება სათანადო პროცესის დაწყებიდან მაქსიმალურად სწრაფად უნდა იყოს მიღებული. ამ მიზნით წევრი სახელმწიფოები ეროვნულ კანონმდებლობაში განსაზღვრავენ დროის პერიოდს, რომლის განმავლობაშიც უნდა ჩატარდეს სასამართლო კონტროლი საკუთარი ინიციატივით (*ex officio*) და/ან განმცხადებლის მოთხოვნით.

როდესაც სასამართლო კონტროლის შედეგად დაკავება არამართლზომიერად იქნება მიჩნეული, მოცემული განმცხადებელი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

4. დაკავებულ განმცხადებელს დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც გონივრულად მიიჩნევა, რომ არის მისთვის გასაგები, დაკავების მიზეზებისა და დაკავების ბრძანების გასაჩივრების ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პროცედურებისა და უფასო

იურიდიული დახმარებისა და წარმომადგენლის მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ.

5. სასამართლო ორგანო, დროის გონივრულ ინტერვალში, ახდენს დაკავების კონტროლს, საკუთარი ინიციატივით (*ex officio*) და/ან მოცემული განმცხადებლის მოთხოვნით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაკავება ხდება ხანგრძლივი ვადით, წარმოიშობა აქტუალური გარემოებები ან ხელმისაწვდომი ხდება ახალი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება დაკავების მართლზომიერებაზე გავლენა მოახდინოს.

6. მე-3 პუნქტში მითითებული დაკავების ბრძანების სასამართლო კონტროლის განხორციელების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ განმცხადებელს უფასო სამართლებრივ დახმარებასა და წარმომადგენელზე წვდომა ჰქონდეს. ეს, სულ მცირე, საჭირო პროცედურული დოკუმენტების მომზადებასა და სასამართლო ორგანოში პროცესზე განმცხადებლის სახელით მონაწილეობას უნდა მოიცავდეს.

უფასო სამართლებრივი დახმარებისა და წარმომადგენლის უზრუნველყოფა ხდება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით ნებადართული და მიღებული სათანადო კვალიფიციური პირების მიერ, რომელთა ინტერესებიც განმცხადებლის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება და პოტენციურად არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს.

7. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ დაადგინონ, რომ სამართლებრივი დახმარებისა და წარმომადგენლის უფლება მიაჩნიათ:

(ა) მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც საკმარისი რესურსები არ აქვთ; და/ან

(ბ) მომსახურება მოხდეს მხოლოდ სამართლებრივი ან სხვა კონსულტანტების მიერ, რომლებსაც ეროვნული კანონმდებლობა განმცხადებლის დახმარებისა და წარმომადგენლობის მიზნით განსაზღვრავს.

8. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ:

(ა) დააწესონ ფულადი და/ან დროის შეზღუდვები უფასო სამართლებრივ დახმარებასა და წარმომადგენელთან მიმართებით, იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები სამართლებრივ მომსახურებასა და წარმომადგენელზე წვდომას თვითნებურად არ შეაფერხებს;

(ბ) უზრუნველყონ, რომ, მოსაკრებლებსა და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით, განმცხადებლებს არ ჰქონდეთ უფრო ხელსაყრელი პირობები, ვიდრე ამ ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხებში.



9. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაწეული ხარჯების სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება მოითხოვონ, თუ ან როდესაც განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობა საგულისხმოდ გაუმჯობესდება ან როდესაც ასეთი ხარჯების გაწევის შესახებ გადაწყვეტილება განმცხადებლის მიერ მიწოდებული ყალბი ინფორმაციის საფუძველზე იყო მიღებული.

10. სამართლებრივ დახმარებასა და წარმომადგენელზე მისაწვდომობის პროცედურა ეროვნული კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს.

## მუხლი 10

### დაკავების პირობები

1. განმცხადებლის დაკავება, როგორც წესი, სპეციალურ დაკავების ცენტრებში ხდება. როდესაც წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია დაკავება სპეციალურ ცენტრში უზრუნველყოს და იძულებულია იგი ციხეში მოათავსოს, დაკავებული განმცხადებელი უნდა მოთავსდეს ჩვეულებრივი პატიმრებისაგან განცალკევებით და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამ დირექტივით განსაზღვრული დაკავების პირობები.

დაკავებული განმცხადებელი, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, განცალკევებული უნდა იყოს სხვა მესამე ქვეყნების მოქალაქეებისაგან, რომლებსაც საერთაშორისო დაცვის განაცხადი შეტანილი არ აქვთ.

როდესაც განმცხადებლის სხვა მესამე ქვეყნების მოქალაქეებისაგან განცალკევება შეუძლებელია, მოცემულმა წევრმა სახელმწიფომ ამ დირექტივით განსაზღვრული დაკავების პირობები უნდა უზრუნველყოს.

2. დაკავებულ განმცხადებელს უნდა ჰქონდეს წვდომა ღია ტერიტორიაზე.

3. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლებს განმცხადებლებთან კომუნიკაცია და მათი მონახულება ისეთ პირობებში შეეძლოთ, რომლებშიც პირადი სივრცის დაცვა იქნება უზრუნველყოფილი. ეს შესაძლებლობა ასევე ვრცელდება ორგანიზაციაზე, რომელიც მოცემული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სახელით, ამ წევრ სახელმწიფოსთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე მუშაობს.

4. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ოჯახის წევრებს, სამართლებრივ წარმომადგენლებს ან კონსულტანტებსა და წევრი სახელმწიფოს მიერ აღიარებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს განმცხადებლებთან

კომუნიკაცია და მათი მონახულება ისეთ პირობებში შეეძლოთ, რომლებშიც პირადი სივრცის დაცვა იქნება უზრუნველყოფილი. დაკავების ცენტრზე წვდომის შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ეს დაკავების ცენტრში უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგისა და ადმინისტრაციული მართვის მიზნებისთვის ობიექტურად აუცილებელია, იმ პირობით, რომ წვდომა არ იქნება მკაცრად შეზღუდული ან შეუძლებელი.

5. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ დაკავების ცენტრში განმცხადებლებმა სისტემატურად მიიღონ ინფორმაცია, რომლითაც ახსნილი იქნება ცენტრში გამოყენებული წესები და ჩამოყალიბებული იქნება მათი უფლებები და მოვალეობები, მათთვის გასაგებ ენაზე ან ენაზე, რომელიც გონივრულად ივარაუდება, რომ უნდა ესმოდეთ. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მოახდინონ გადახვევა ამ ვალდებულებიდან სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში და გონივრული პერიოდით, რომელიც უნდა იყოს მაქსიმალურად ხანმოკლე, იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებლის დაკავება საზღვარზე ან სატრანზიტო ზონაში ხდება. ეს გადახვევა 2013/32/EU დირექტივის 43-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებზე არ ვრცელდება.

## *მუხლი 11*

### **მოწყვლადი და სპეციალური საჭიროებების მქონე განმცხადებლების დაკავება**

1. დაკავებულ მოწყვლად პირთა ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის ჩათვლით, ეროვნული ხელისუფლების უმთავრესი ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

მოწყვლად პირთა დაკავების შემთხვევაში, სახელმწიფო რეგულარულ მონიტორინგსა და სათანადო მხარდაჭერას, მათი კონკრეტული სიტუაციის, მათ შორის, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს.

2. არასრულწლოვანთა დაკავება უკიდურესი ზომის სახით უნდა განხორციელდეს, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ სხვა იძულებითი ზომები ეფექტურად ვერ იქნება გამოყენებული. დაკავება უნდა განხორციელდეს მინიმალური პერიოდით და დაკავებული მცირეწლოვნის განთავისუფლებისა და მცირეწლოვნისთვის შესაფერის პირობებში მისი მოთავსებისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს.

წევრმა სახელმწიფოებმა უპირველესი ყურადღება უნდა მიაქციონ მცირეწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, როგორც ეს 23-ე მუხლის მე-2 პუნქტში არის აღწერილი.

როდესაც დაკავებული არასრულწლოვანი პირია, მას საშუალება უნდა ჰქონდეს ჩაერთოს გასართობ აქტივობებში, მისი ასაკისათვის შესაფერი თამაშისა და რეკრეაციული აქტივობების ჩათვლით.

3. თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვნის დაკავება მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში უნდა მოხდეს. ყველა ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული თანმხლების გარეშე მყოფი დაკავებული არასრულწლოვნის უმოკლეს დროში განთავისუფლებისკენ.

თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვნის დაკავება არასდროს არ უნდა მოხდეს ციხეში მოთავსებით.

თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მოთავსდეს დაწესებულებაში, სადაც არის ისეთი პერსონალი და პირობები, რომელიც მისი ასაკის პირის საჭიროებებს ითვალისწინებს.

თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი პირის დაკავების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა მისი ზრდასრული პირებისაგან განცალკევებით განთავსება უნდა უზრუნველყონ.

4. დაკავებული ოჯახები უნდა განთავსდნენ განცალკევებულ საცხოვრებელში, რომელიც პირადი სივრცის სათანადო პირობებს უზრუნველყოფს.

5. ქალი განმცხადებლების დაკავების შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათი განთავსება მამაკაცებისაგან განცალკევებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ოჯახის წევრები არიან და ასეთ განთავსებაზე ყველა მათგანი თანხმობას აცხადებს.

პირველი პუნქტიდან გამონაკლისი შეიძლება ასევე გავრცელდეს საერთო ფართობების გამოყენებაზე, რომლებიც შექმნილია რეკრეაციული ან სოციალური აქტივობებისთვის, საკვების მიწოდების ჩათვლით.

6. სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში და გონივრული პერიოდით, რომელიც მაქსიმალურად ხანმოკლე უნდა იყოს, წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მოახდინონ გადახვევა მე-2 პუნქტის მესამე პუნქტიდან, მე-4 პუნქტიდან და მე-5 პუნქტის 1-ელი ქვეპუნქტიდან, როდესაც განმცხადებელი დაკავებულია საზღვარზე ან ტრანზიტულ ზონაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც 2013/32/EU დირექტივის 43-ე მუხლშია განსაზღვრული.

## ოჯახები

წევრი სახელმწიფოები სათანადო ზომებს მიიღებენ, რათა, მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, შეინარჩუნონ ოჯახის ერთიანობა იმ შემადგენლობით, როგორც ის მათ ტერიტორიაზე არის წარმოდგენილი, თუ განმცხადებელს საცხოვრისით მოცემული წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს. ასეთი ზომების მიღება განმცხადებელთან შეთანხმებით უნდა მოხდეს.

## მუხლი 13

### სამედიცინო შემოწმება

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერესებისთვის განმცხადებლის სამედიცინო შემოწმება მოითხოვონ.

## მუხლი 14

### არასრულწლოვანთა სწავლება და განათლება

1. წევრი სახელმწიფოები განმცხადებელთა არასრულწლოვან შვილებსა და არასრულწლოვან განმცხადებლებს უზრუნველყოფენ განათლების სისტემაზე წვდომით, მათი მოქალაქეების მსგავსი გარემოებების შექმნით, ვიდრე რეალურად არ მოხდება მათ მიმართ ან მათი მშობლების მიმართ გამეცვების პროცედურის აღსრულება. ასეთი განათლების უზრუნველყოფა შეიძლება განთავსების ცენტრებში მოხდეს.

მოცემულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია ასეთი წვდომის სახელმწიფო განათლების სისტემაში ჩართვის გადაწყვეტილება მიიღოს.

წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა შეწყვიტონ საშუალო განათლების პროცესი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არასრულწლოვანმა ზრდასრულ ასაკს მიაღწია.

2. განათლების სისტემაზე წვდომა არ შეიძლება გადავადდეს სამ თვეზე მეტი ხნით იმ დღიდან, როდესაც არასრულწლოვანის მიერ ან მისი სახელით შეტანილ იქნა განაცხადი საერთაშორისო დაცვის შესახებ.

არასრულწლოვანი პირები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ მოსამზადებელი კლასებით, ენის კურსების ჩათვლით, რათა მოხდეს მათი ხელშეწყობა განათლების სისტემაზე წვდომისა და მონაწილეობის თვალსაზრისით, როგორც ეს 1-ელ პუნქტშია ჩამოყალიბებული.

3. როდესაც არასრულწლოვანის კონკრეტული სიტუაციის გამო 1-ელ პუნქტში განსაზღვრული განათლების სისტემაზე წვდომა შეუძლებელია, მოცემულმა წევრმა სახელმწიფომ მას, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად, განათლების სხვა სქემა უნდა შესთავაზოს.

### *მუხლი 15*

#### **დასაქმება**

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ განმცხადებელს შრომის ბაზარზე წვდომა საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 9 თვის შემდეგ ჰქონდეს, თუ კომპეტენტური ორგანოს მიერ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების მიღების დაგვიანება განმცხადებლის მიზეზით არ მომხდარა.

2. წევრი სახელმწიფოები განმცხადებლისთვის შრომის ბაზარზე წვდომის მინიჭების პირობებს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად აყალიბებენ და, ამავდროულად, შრომის ბაზარზე განმცხადებელთა ეფექტურ წვდომას უზრუნველყოფენ.

შრომის ბაზრის პოლიტიკიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები პრიორიტეტს ანიჭებენ კავშირისა და ევროპის ეკონომიკური ზონის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებსა და მესამე ქვეყნის ლეგალური ბინადრობის მქონე მოქალაქეებს.

3. შრომის ბაზარზე მისაწვდომობა არ წყდება სააპელაციო პროცედურების განმავლობაში, სადაც უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრება ჩვეულებრივი პროცედურით შეწყვეტის ეფექტის მქონეა, იმ მომენტამდე, ვიდრე ცნობილი არ გახდება გასაჩივრებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

### *მუხლი 16*

#### **პროფესიული მომზადება**

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განმცხადებელს შრომის ბაზარზე წვდომის მიუხედავად, პროფესიულ განათლებაზე წვდომა მისცენ.

დასაქმების კონტრაქტთან დაკავშირებულ პროფესიულ მომზადებაზე წვდომა დამოკიდებულია განმცხადებლის შრომის ბაზარზე წვდომის ფარგლებზე, მე-15 მუხლის შესაბამისად.

### *მუხლი 17*

## წესები მიღებასთან დაკავშირებული მატერიალური პირობებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეტანისას, განმცხადებელს მიღების მატერიალური პირობები ჰქონდეს.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მიღებასთან დაკავშირებული მატერიალური პირობები შეესაბამებოდეს განმცხადებლის ცხოვრების შესაბამის სტანდარტს, რომელიც მის საარსებო საშუალებებს უზრუნველყოფს და მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას იცავს.

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ცხოვრების პირობები შეესაბამებოდეს მოწყვლად პირთა სპეციფიკურ სიტუაციას, 21-ე მუხლის შესაბამისად და დაკავებულ პირთა სიტუაციას.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მიღების მატერიალურ პირობებსა და ჯანმრთელობის დაცვაზე მთლიანად ან ნაწილობრივ დააწესონ პირობა, რომ განმცხადებელს არ უნდა ჰქონდეს საკმარისი საშუალებები ცხოვრების პირობებისთვის, რომელიც მისი ჯანმრთელობისა და საარსებო საშუალებათა უზრუნველსაყოფად სათანადო იქნება.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განმცხადებელს მიღების მატერიალურ პირობებსა და მისი ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების მთლიანი ან ნაწილობრივი დაფარვა მე-3 პუნქტის დებულების შესაბამისად მოსთხოვონ, თუ განმცხადებელს აქვს საკმარისი რესურსები, მაგალითად, თუ მას დროის გონივრული პერიოდის განმავლობაში სამუშაო ჰქონდა. თუ დაგინდება, რომ განმცხადებელს მიღების მატერიალური პირობებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების დასაფარად საკმარისი საშუალებები ჰქონდა იმ მომენტისთვის, როდესაც ამ ძირითად საჭიროებათა ხარჯების დაფარვა ხდებოდა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, განმცხადებელს ხარჯების ანაზღაურება მოსთხოვონ.

5. წევრი სახელმწიფოები მიღების მატერიალურ პირობებს უზრუნველყოფენ ფინანსური შემწეობის ან ვაუჩერის ფორმით, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მოცემული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან პრაქტიკით დადგენილი დონის (დონეების) საფუძველზე, რომელიც მისი მოქალაქეების ცხოვრების სათანადო სტანდარტებს უზრუნველყოფს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, განმცხადებელთა მიმართ დააწესონ ნაკლებად ხელსაყრელი მოპყრობა, ვიდრე მის მოქალაქეებს აქვთ ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით იქ, სადაც მატერიალური მხარდაჭერა ნაწილობრივ ნატურალურად ხორციელდება, ან იქ, სადაც მოქალაქეებისთვის

გამოყენებული ეს დონე (დონეები) მიზნად ისახავს, რომ მათი ცხოვრების სტანდარტი განმცხადებლებისთვის ამ დირექტივით მინიჭებულ დონესთან შედარებით უფრო მაღალი იყოს.

### მუხლი 18

#### მიღების მატერიალური პირობების ტექნიკური დეტალები

1. როდესაც საცხოვრისის მინიჭება ნატურალურად ხდება, ეს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე ფორმით უნდა მოხდეს:

(ა) შენობა გამოიყენება განმცხადებელთა საცხოვრისად საზღვარზე ან ტრანზიტულ ზონაში საერთაშორისო დაცვის განაცხადის განხილვის განმავლობაში;

(ბ) განთავსების ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფს ცხოვრების სათანადო სტანდარტს;

(გ) კერძო სახლები, ბინები, სასტუმროები ან სხვა შენობები, რომლებიც ადაპტირებულია განმცხადებელთა საცხოვრისად.

2. მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული დაკავების რომელიმე პირობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა, ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საცხოვრისთან დაკავშირებით უნდა უზრუნველყონ, რომ:

(ა) განმცხადებელი უზრუნველყოფილი იყოს მისი ოჯახური ცხოვრების დაცვით;

(ბ) განმცხადებელს ჰქონდეს მის ნათესავებთან, სამართლებრივ მრჩეველთან ან კონსულტანტთან, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელ პირებსა და სხვა შესაბამისი ეროვნული, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციათა და უწყებათა წარმომადგენლებთან კომუნიკაციის საშუალება;

(გ) ოჯახის წევრებს, სამართლებრივ მრჩეველს ან კონსულტანტს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელ პირებსა და წევრი სახელმწიფოს მიერ აღიარებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს ჰქონდეთ წვდომა, განმცხადებლისთვის დახმარების გაწევის თვალსაზრისით. ასეთ წვდომაზე შეზღუდვის დაწესება მხოლოდ შენობის და განმცხადებლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფუძვლით შეიძლება.

3. განთავსების ობიექტებსა და ცენტრებში წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ განმცხადებლის გენდერულ და ასაკობრივ მახასიათებლებს და მოწყვლად პირთა სიტუაციას, როგორც 1-ელი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებშია მითითებული.

4. 1-ელი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ შენობებსა და განთავსების ცენტრებში ფიზიკური თავდასხმისა და გენდერულ საფუძველზე მომხდარი ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით, წევრი სახელმწიფოები სათანადო ღონისძიებებს ახორციელებენ.

5. შესაძლებლობის ფარგლებში, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ დამოკიდებული ზრდასრული განმცხადებელი, რომელსაც მიღების სპეციალური საჭიროებები აქვს, მოთავსებული იქნეს ზრდასრულ ახლო ნათესავებთან, რომლებიც იმავე წევრ სახელმწიფოში უკვე იმყოფებიან და მასზე მოცემული წევრი სახელმწიფოს კანონის ან პრაქტიკის შესაბამისად არიან პასუხისმგებელნი.

6. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ განმცხადებლის გადაყვანა განთავსების ერთი ობიექტიდან მეორეში მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში მოხდეს. წევრი სახელმწიფოები განმცხადებელს საშუალებას აძლევენ, გადაყვანისა და ახალი მისამართის შესახებ სამართლებრივ მრჩეველსა და კონსულტანტს აცნობოს.

7. განთავსების ცენტრებში მომუშავე პირები სათანადოდ მომზადებულნი უნდა იყვნენ და მათი მუშაობის პერიოდში მოპოვებულ ნებისმიერ ინფორმაციასთან მიმართებით ეროვნული კანონით დადგენილ კონფიდენციალობის წესებს უნდა ემორჩილებოდნენ.

8. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, განმცხადებელი ცენტრის ცხოვრების მატერიალური რესურსებისა და არამატერიალური ასპექტების მართვაში მობინადრეთა კომიტეტის ან საბჭოს მეშვეობით ჩართონ.

9. სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დროის გონივრული პერიოდით, რომელიც მაქსიმალურად ხანმოკლე იქნება, დაადგინონ გამონაკლისი ტექნიკური მახასიათებლები მიღების მატერიალური პირობებისთვის, რომლებიც ამ მუხლში ჩამოყალიბებული მახასიათებლებისაგან განსხვავდება, როდესაც:

(ა) საჭიროა განმცხადებლის კონკრეტული საჭიროებების შეფასება, 22-ე მუხლის შესაბამისად;

(ბ) ჩვეულებრივ პირობებში არსებული საცხოვრისის შესაძლებლობები დროებით ამოიწურა.



ასეთი განსხვავებული პირობები ყველა შემთხვევაში უნდა აკმაყოფილებდეს საბაზისო საჭიროებებს.

### *მუხლი 19*

#### **ჯანმრთელობის დაცვა**

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ განმცხადებელმა მიიღოს საჭირო ჯანმრთელობის დაცვა, რომელიც, სულ მცირე, გადაუდებელ დახმარებასა და დაავადებათა და სერიოზულ ფსიქიკურ აშლილობათა აუცილებელ მკურნალობას მოიცავს.
2. წევრი სახელმწიფოები აუცილებელი სამედიცინო და სხვა დახმარებით უზრუნველყოფენ განმცხადებელს, რომელსაც მიღების სპეციალური პირობები სჭირდება, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ფსიქიკური მკურნალობის ჩათვლით.

### **თავი III**

#### **მიღების მატერიალური პირობების შემცირება ან გაუქმება**

### *მუხლი 20*

#### **მიღების მატერიალური პირობების შემცირება ან გაუქმება**

1. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, შეამცირონ ან, გამონაკლისი და სათანადოდ დასაბუთებული შემთხვევების დროს, გააუქმონ მატერიალური პირობები, როდესაც განმცხადებელი:
    - (ა) ტოვებს კომპეტენტური ორგანოს მიერ განსაზღვრულ ბინადრობის ადგილს მისი ინფორმირების გარეშე, ან, თუ ასეთი მოითხოვება, ნებართვის გარეშე; ან
    - (ბ) არ აკმაყოფილებს მოხსენების მოვალეობას ან ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნას ან არ ცხადდება თავშესაფრის პროცედურით გათვალისწინებულ პირად გასაუბრებაზე გონივრული პერიოდის განმავლობაში, რომელიც ეროვნული კანონით არის განსაზღვრული; ან
    - (გ) განმცხადებელს შეტანილი აქვს შემდგომი განაცხადი 2013/32/EU დირექტივის მე-2 მუხლის „რ“ პუნქტის შესაბამისად.
- „ა“ და „ბ“ შემთხვევების დროს, როდესაც განმცხადებელზე დაწესებულია თვალთვალი ან მას კომპეტენტური ორგანოს წინაშე გამოცხადება მოეთხოვება,

მიღებული უნდა იქნეს სათანადოდ მოტივირებული გადაწყვეტილება, გაუჩინარების მიზეზებზე დაყრდნობით, სრულად ან ნაწილობრივ გაუქმებული ან შემცირებული მიღების მატერიალური პირობების აღდგენის შესახებ.

2. მიღების მატერიალური პირობების შემცირება წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ მაშინ, როდესაც შეუძლიათ დაადგინონ, რომ განმცხადებელმა, საპატიო მიზეზების გარეშე, წევრ სახელმწიფოში ჩასვლისას საერთაშორისო დაცვის განაცხადი არ შეიტანა დროის უმოკლეს ინტერვალში, რომელიც პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, გონივრულად არის მიჩნეული.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, შეამცირონ ან გააუქმონ მიღების მატერიალური პირობები, როდესაც განმცხადებელმა დამალა ფინანსური რესურსები და, აქედან გამომდინარე, მიღების მატერიალური პირობებით არამართებულად ისარგებლა.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ სანქციები, რომლებიც განთავსების ცენტრებში წესების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში და სერიოზული ძალადობრივი ქმედებების დროს იქნება გამოყენებული.

5. ამ მუხლის 1-ელ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული მიღების მატერიალური პირობებს შემცირების ან გაუქმების ან სანქციების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად, საფუძვლების მითითებით. გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს მოცემული პირის კონკრეტულ სიტუაციას, განსაკუთრებით, 21-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა შემთხვევაში, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. წევრმა სახელმწიფოებმა ყველა გარემოებაში უნდა უზრუნველყონ წვდომა ჯანმრთელობის დაცვაზე, მე-19 მუხლის შესაბამისად და ყველა განმცხადებლისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცხოვრების ღირსეული სტანდარტები.

6. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მე-5 მუხლის შესაბამისად მიღების მატერიალური პირობების გაუქმება ან შემცირება გადაწყვეტილების მიღებამდე არ მოხდეს.

## თავი IV

### დებულებები მოწყვლადი პირებისთვის

#### მუხლი 21

#### ზოგადი პრინციპი

ამ დირექტივის განხორციელებისთვის მიღებულ ეროვნულ კანონმდებლობაში წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ ისეთი მოწყვლადი პირების სპეციფიკურ სიტუაციას, როგორებიც არიან არასრულწლოვანი პირები, თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები, ორსული ქალები, მარტოხელა მშობლები მცირეწლოვანი ბავშვებით, ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლნი, სერიოზული დაავადების მქონე პირები, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები და პირები, რომლებიც დაექვემდებარნენ წამებას, გაუპატიურებას ან ფსიქოლოგიური, ფსიქიკური თუ სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებს, მაგალითად, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების მსხვერპლნი.

## მუხლი 22

### მოწყვლად პირთა მიღების სპეციალურ საჭიროებათა შეფასება

1. 21-ე მუხლის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, წევრი სახელმწიფოები აფასებენ, არის თუ არა განმცხადებელი მიღების სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირი. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა მიუთითონ ასეთ საჭიროებათა ბუნებაზე.

ეს შეფასება საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეტანის შემდეგ დროის გონივრულ პერიოდში უნდა დაიწყოს და მისი ინტეგრირება შეიძლება არსებულ ეროვნულ პროცედურებში მოხდეს. ამ დირექტივის დებულებათა შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა მიღების სპეციალური საჭიროებები ასევე უნდა გაითვალისწინონ მაშინაც, თუ მათ შესახებ თავშესაფრის პროცედურის მოგვიანებით ეტაპზე გახდება ცნობილი.

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე განმცხადებლებისთვის ამ დირექტივის შესაბამისად გაწეული მხარდაჭერა ითვალისწინებდეს მათი სპეციალური მიღების საჭიროებებს თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში და უნდა განახორციელონ მათი სიტუაციის სათანადო მონიტორინგი.

2. აუცილებელი არ არის, რომ 1-ელ პუნქტში მითითებულ შეფასებას ადმინისტრაციული პროცედურის ფორმა ჰქონდეს.

3. 21-ე მუხლის შესაბამისად მიღების სპეციალური საჭიროების მქონედ შეიძლება მიჩნეულნი იყვნენ მხოლოდ მოწყვლადი პირები და, შესაბამისად, ამ დირექტივის თანახმად, შეუძლიათ, სპეციალური დახმარებით ისარგებლონ.

4. 1-ელ პუნქტში განსაზღვრული შეფასება ზიანს არ აყენებს საერთაშორისო დაცვის საჭიროებათა შეფასებას, რომელიც 2011/95/EU დირექტივის შესაბამისად ხორციელდება.

### მუხლი 23

#### არასრულწლოვანი პირები

1. ამ დირექტივის დებულებათა განხორციელებისას, რომელშიც არასრულწლოვანი პირები მონაწილეობენ, წევრი სახელმწიფოების ზრუნვის უპირველესი საგანი ბავშვის საუკეთესო ინტერესებია. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ცხოვრების სტანდარტებს, რომლებიც არასრულწლოვან პირთა ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას შეესაბამება.

2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას, წევრი სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შემდეგ ფაქტორებს:

(ა) ოჯახის გაერთიანების შესაძლებლობას;

(ბ) არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და სოციალურ განვითარებას, არასრულწლოვანის მონაცემების განსაკუთრებული გათვალისწინებით;

(გ) უსაფრთხოებისა და დაცვის საკითხებს, განსაკუთრებით იქ, სადაც არსებობს რისკი, რომ არასრულწლოვანი ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლია;

(დ) არასრულწლოვანის მოსაზრებებს, მისი ასაკისა და სიმწიფის დონის შესაბამისად.

3. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ არასრულწლოვან პირს, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შენობებსა და განთავსების ცენტრებში ჰქონდეს წვდომა მისი ასაკის შესაფერის დასვენებასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, თამაშისა და რეკრეაციული აქტივობების ჩათვლით და სუფთა ჰაერზე ჩატარებულ აქტივობებზე.

4. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ წვდომას რეაბილიტაციის სერვისებზე იმ არასრულწლოვანთათვის, რომლებიც არიან ნებისმიერი ფორმის შეურაცხყოფის, უგულვებელყოფის, ექსპლუატაციის, წამების ან სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლნი, ან რომლებსაც ზიანი მიადგათ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად და უზრუნველყოფენ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ასეთმა პირებმა სათანადო ფსიქიკური მკურნალობა და კვალიფიციური კონსულტაციები მიიღონ.

5. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ განმცხადებელთა არასრულწლოვანი შვილები ან არასრულწლოვანი განმცხადებლები განთავსდნენ მათ მშობლებთან, მათ დაუქორწინებელ და-ძმებთან ან სრულწლოვან პირებთან, რომლებიც მათზე პასუხისმგებელნი არიან მოცემული წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან პრაქტიკით, იმ პირობით, რომ ამას მოცემული არასრულწლოვანი პირის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.

#### მუხლი 24

### თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი პირები

1. წევრი სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად სწრაფად ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ, რომ თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანს წარმოადგენდეს და დახმარებას უწევდეს წარმომადგენელი, რათა მას ამ დირექტივით მინიჭებული უფლებებით სარგებლობისა და ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა მისცეს. თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვან პირს დაუყოვნებლივ აცნობებენ წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ. წარმომადგენელი თავის მოვალეობებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის შესაბამისად ასრულებს, როგორც ეს 23-ე მუხლის მე-2 პუნქტშია აღწერილი და ამ მიზნით უნდა ჰქონდეს საჭირო გამოცდილება.

23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული არასრულწლოვანის კეთილდღეობისა და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, წარმომადგენლის შეცვლა მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში უნდა მოხდეს. ორგანიზაციები ან ინდივიდუალური პირები, რომელთა ინტერესები ეწინააღმდეგება ან შეიძლება პოტენციურად ეწინააღმდეგებოდეს თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის ინტერესებს, არ არიან უფლებამოსილნი, გახდნენ მისი წარმომადგენელი.

შესაბამისი ორგანო ატარებს რეგულარულ შემოწმებას, თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის წარმოდგენისთვის საჭირო საშუალებების ჩათვლით.

2. თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი, რომელსაც საერთაშორისო დაცვის განაცხადი შეაქვს, მისი ტერიტორიაზე დაშვების მომენტიდან იმ მომენტამდე, როდესაც იგი ვალდებული იქნება დატოვოს წევრი სახელმწიფო, რომელშიც საერთაშორისო დაცვის განაცხადის შეტანა ან მისი განხილვა მოხდა, უნდა განთავსდეს:

(ა) ზრდასრულ ნათესავებთან;

(ბ) მიმღებ ოჯახში;

(გ) განთავსების ცენტრებში, სადაც არსებობს არასრულწლოვანთა მიღებისთვის საჭირო სპეციალური საშუალებები არსებობს;

(დ) განთავსების სხვა ადგილებში, რომლებიც შესაფერია არასრულწლოვანთათვის.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, 16 წლის და მეტი ასაკის თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანი მოზარდთა განთავსების ცენტრებში განათავსონ, თუ ეს მათ საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება, როგორც ეს 23-ე მუხლის მე-2 პუნქტშია აღწერილი.

მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, და-ძმები ერთად უნდა განთავსდნენ, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მოცემულ არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები და, განსაკუთრებით, მათი ასაკი და სიმწიფის დონე. თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის ბინადრობის ადგილის ცვლილება მინიმუმამდე უნდა შეიზღუდოს.

3. საერთაშორისო დაცვის განაცხადის მიღებიდან უმოკლეს დროში, წევრი სახელმწიფოები თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვანის ოჯახის ძებნას იწყებენ, საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ან სხვა შესაბამისი ორგანიზაციების დახმარებითა და მოცემული არასრულწლოვანი პირის საუკეთესო ინტერესების დაცვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანის ან მისი ახლო ნათესავების სიცოცხლეს ან ხელშეუხებლობას საფრთხე ემუქრება, განსაკუთრებით, თუ ისინი წარმოშობის ქვეყანაში იყვნენ, ამ პირთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გადაცემა კონფიდენციალობის დაცვით, მათი უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენების გარეშე უნდა მოხდეს.

4. მუშაკებს, რომლებიც თანმხლების გარეშე მყოფ მცირეწლოვან პირებთან მუშაობენ, სათანადო მომზადება უნდა ჰქონდეთ გავლილი, მათი საჭიროებების შესწავლას კვლავ უნდა აგრძელებდნენ და მათი მუშაობის დროს მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაციის მიმართ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ კონფიდენციალობის წესებს უნდა იცავდნენ.

## მუხლი 25

### წამების და ძალადობის მსხვერპლები

1. პირებს, რომლებიც დაექვემდებარნენ წამებას, გაუპატიურებას ან ძალადობის სხვა სერიოზულ ქმედებებს, წევრი სახელმწიფოები ასეთი ქმედებებისაგან მიყენებული ზიანის მკურნალობით, განსაკუთრებით, სათანადო სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მკურნალობაზე ან მზრუნველობაზე წვდომით უზრუნველყოფენ.

2. მუშაკებს, რომლებიც წამების, გაუპატიურების ან ძალადობის სხვა ქმედებათა მსხვერპლთან მუშაობენ, სათანადო მომზადება უნდა ჰქონდეთ გავლილი, მათი საჭიროებების შესწავლას კვლავ უნდა აგრძელებდნენ და მათი მუშაობის დროს მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაციის მიმართ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ კონფიდენციალობის წესებს უნდა იცავდნენ.

## თავი V

### გასაჩივრება

#### მუხლი 26

### გასაჩივრება

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ დირექტივით განსაზღვრული სარგებლების მინიჭებასთან, გაუქმებასთან ან შემცირებასთან არის დაკავშირებული ან მე-7 მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც განმცხადებელზე ინდივიდუალურ ზემოქმედებას ახდენს, ეროვნული კანონით განსაზღვრული პროცედურების ფარგლებში გასაჩივრებას დაექვემდებაროს. სულ მცირე, შესაძლებელი უნდა იყოს ბოლო ინსტანციაში გასაჩივრება ან გადასინჯვა სასამართლო ორგანოს წინაშე, როგორც ფაქტობრივი, ისე კანონის თვალსაზრისით.

2. სასამართლო ორგანოს წინაშე 1-ელ პუნქტში მითითებული გასაჩივრების ან გადასინჯვის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფენ უფასო სამართლებრივ დახმარებასა და წარმომადგენელზე წვდომას, რამდენადაც ასეთი დახმარება მართლმსაჯულებაზე ეფექტური ხელმისაწვდომობისთვის არის აუცილებელი. ეს, სულ მცირე, საჭირო პროცედურული დოკუმენტების მომზადებასა და განმცხადებლის სახელით სასამართლო სხდომაზე დასწრებას მოიცავს.

უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა მიერ, ეროვნული კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, რომელთა ინტერესები არ ეწინააღმდეგება ან პოტენციურად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს განმცხადებლის ინტერესებს.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ასევე დაადგინონ, რომ უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა უზრუნველყონ:

(ა) მხოლოდ მათთვის, ვისაც საკმარისი რესურსები არ აქვთ; და/ან

(ბ) მხოლოდ სამართლებრივ მრჩეველთა ან სხვა კონსულტანტთა მიერ მიწოდებული მომსახურების მეშვეობით, რომლებიც განმცხადებელთა დახმარებისა და წარმომადგენლობის მიზნით ეროვნული კანონმდებლობით სპეციალურად არის განსაზღვრული.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ უფასო სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა არ იქნება ხელმისაწვდომი, თუ კომპეტენტური ორგანო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებას ან გადასინჯვას წარმატების რაიმე ხელშესახები პერსპექტივა არ აქვს. ასეთ შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ სამართლებრივი დახმარების ან წარმომადგენლობის თვითნებური შეზღუდვა არ მოხდეს და მართლმსაჯულებაზე განმცხადებლის ეფექტური წვდომა არ შეფერხდეს.

4. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ:

(ა) სამართლებრივ დახმარებაზე და წარმომადგენელზე დააწესონ ფულადი და/ან დროის შეზღუდვები, იმ პირობით, რომ ასეთი შეზღუდვები თვითნებურად არ შეზღუდავს სამართლებრივ დახმარებასა და წარმომადგენელზე წვდომას;

(ბ) დაადგინონ, რომ მოსაკრებლებსა და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით, განმცხადებელთა მიმართ მოპყრობა სამართლებრივი დახმარების სფეროში მათი მოქალაქეების მიმართ დაწესებულ ზოგად მოპყრობასთან შედარებით უფრო ხელსაყრელი არ იქნება.

5. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მოითხოვონ მათ მიერ გაწეული ხარჯის მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზღაურება, თუ და როდესაც განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობა საგულისხმოდ გაუმჯობესდება, ან თუ ასეთი ხარჯების გაწევის შესახებ გადაწყვეტილება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ყალბი ინფორმაციის საფუძველზე იყო მიღებული.

6. სამართლებრივ დახმარებასა და წარმომადგენლობაზე ხელმისაწვდომობის პროცედურები ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება.

## თავი VI

### მოქმედებები მიღების სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებისთვის



## *მუხლი 27*

### **კომპეტენტური ორგანო**

თითოეული წევრი სახელმწიფო კომისიას აცნობებს უწყებების შესახებ, რომლებიც ამ დირექტივის საფუძველზე წარმოშობილ ვალდებულებათა შესრულებაზე არიან პასუხისმგებელნი. წევრი სახელმწიფოები კომისიას ასეთი უწყებების განსაზღვრასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ ატყობინებენ.

## *მუხლი 28*

### **ხელმძღვანელობის, მონიტორინგისა და კონტროლის სისტემა**

1. წევრი სახელმწიფოები, თავიანთი კონსტიტუციური სტრუქტურის დაცვით, აყალიბებენ სათანადო მექანიზმებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიღების პირობების სათანადო დონის მართვა, მონიტორინგი და კონტროლი.
2. არაუგვიანეს 2016 წლის 20 ივლისისა, წევრი სახელმწიფოები შესაბამის ინფორმაციას საბჭოს I დანართში ჩამოყალიბებული ფორმის მიხედვით წარუდგენენ.

## *მუხლი 29*

### **პერსონალი და რესურსები**

1. წევრი სახელმწიფოები შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა ხელისუფლების ორგანოებმა და სხვა ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ დირექტივას ახორციელებენ, ქალი და მამაკაცი განმცხადებლების საჭიროებათა კუთხით სათანადო საბაზისო სწავლებით იყვნენ უზრუნველყოფილნი.
2. წევრი სახელმწიფოები ამ დირექტივის განმახორციელებელ ეროვნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით სათანადო რესურსებს უზრუნველყოფენ.

## **თავი VII**

### **დასკვნითი დებულებები**

## *მუხლი 30*

### **ანგარიშგება**

არაუგვიანეს 2017 წლის 20 ივლისისა, კომისიამ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ამ დირექტივის გამოყენების შესახებ უნდა შეატყობინოს და, აუცილებლობის შემთხვევაში, საჭირო ცვლილებები უნდა წარუდგინოს. წევრმა

სახელმწიფოებმა კომისიას ამ ანგარიშის შესადგენად საჭირო ინფორმაცია უნდა მიაწოდონ.

პირველი ანგარიშის წარდგენის შემდეგ, კომისიამ ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ამ დირექტივის გამოყენების შესახებ ანგარიში, სულ მცირე, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა წარუდგინოს.

### *მუხლი 31*

#### **ტრანსპოზიცია**

1. არაუგვიანეს 2015 წლის 20 ივლისისა, წევრმა სახელმწიფოებმა 1-ელი - მე-12 მუხლების, მე-14 – 28-ე მუხლების, 30-ე მუხლისა და 1-ელი დანართის შესასრულებლად საჭირო კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები უნდა აამოქმედონ. იმავდროულად, მათ კომისიას ამ ღონისძიებათა შესახებ ტექსტები უნდა მიაწოდონ.

ამ ღონისძიებების შემუშავებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააკეთონ მითითება ამ დირექტივაზე ან, მისი ოფიციალური გამოცემის შემთხვევაში, ეს მითითება თან დაურთონ. ის უნდა შეიცავდეს, ასევე, მითითებას არსებულ კანონებზე, რეგულაციებსა და ადმინისტრაციულ ნორმებზე, რომლებიც ამ დირექტივით არის გაუქმებული. მითითების ფორმატი და მისი ფორმულირების სახე წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს.

2. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა შეატყობინონ ეროვნული კანონმდებლობის ძირითად დებულებათა ტექსტები, რომლებსაც ისინი ამ დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში მიიღებენ.

### *მუხლი 32*

#### **გაუქმება**

ამ დირექტივით წევრი სახელმწიფოებისთვის 2015 წლის 21 ივლისიდან უქმდება 2003/9/EC დირექტივა წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებისთვის ზიანის მიყენების გარეშე ეროვნულ კანონმდებლობაში მე-2 დანართის „ბ“ ნაწილის ტრანსპოზიციასთან დაკავშირებით.

გაუქმებული დირექტივის მითითებები ამ დირექტივის მითითებების კონტექსტში უნდა განიმარტოს და მე-3 დანართის კორელაციური ცხრილის შესაბამისად უნდა იკითხებოდეს.

### მუხლი 33

#### ძალაში შესვლა

ეს დირექტივა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს შედის ძალაში.

მე-13 და 29-ე მუხლები ძალაშია 2015 წლის 21 ივლისიდან.

### მუხლი 34

#### ადრესატები

ამ დირექტივის ადრესატები არიან წევრი სახელმწიფოები, ხელშეკრულების შესაბამისად.

მომზადებულია ბრიუსელში, 2013 წლის 26 ივნისს.

*ევროპის პარლამენტის სახელით*

*პრეზიდენტი*

*მ. შულცი*

*საბჭოს სახელით*

*პრეზიდენტი*

*ა. შატერი*

---

<sup>(1)</sup> [OJ C 317, 23.12.2009, გვ. 110](#) და [OJ C 24, 28.1.2012, გვ. 80](#).

<sup>(2)</sup> [OJ C 79, 27.3.2010, გვ. 58](#).

<sup>(3)</sup> ევროპის პარლამენტის 2011 წლის 6 აპრილის პოზიცია ([OJ C 296 E, 2.10.2012, გვ. 184](#)) და საბჭოს პოზიცია პირველი წაკითხვისას, 2013 წლის 6 ივნისს (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ გამოქვეყნებული არ არის). ევროპის პარლამენტის 2013 წლის 10 ივნისის პოზიცია (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ გამოქვეყნებული არ არის).

<sup>(4)</sup> [OJ L 31, 6.2.2003, გვ. 18](#).

<sup>(5)</sup> [OJ L 337, 20.12.2011, გვ. 9](#).

<sup>(6)</sup> [OJ C 369, 17.12.2011, გვ. 14](#).

<sup>(7)</sup> [OJ L 212, 7.8.2001, გვ. 12](#).

<sup>(8)</sup> იხ. ამ ოფიციალური ჟურნალის გვ. 60.

<sup>(9)</sup> [OJ L 348, 24.12.2008, გვ. 98](#).

<sup>(10)</sup> იხ. ამ ოფიციალური ჟურნალის გვ. 31.

---

## დანართი I

### ინფორმაციის მოხსენების ფორმა, რომელიც წევრმა სახელმწიფოებმა 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე უნდა წარადგინონ

როდესაც ეროვნულ კანონმდებლობაში ან პრაქტიკაში ხდება არსებითი ცვლილება, რომელიც უკვე მიწოდებულ ინფორმაციას ანაცვლებს, წევრი სახელმწიფოების მიერ წარდგენილი ინფორმაცია 28-ე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული თარიღის შემდეგ, კომისიას ხელახლა უნდა მიეწოდოს.

1. მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტისა და 22-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ დაახასიათოთ სხვადასხვა ნაბიჯები, რომლებიც გამოიყენება სპეციალური მიღების საჭიროების მქონე პირთა განსაზღვრისთვის, მათ შორის, მისი დაწყების მომენტი და ასეთ საჭიროებათა გათვალისწინების შედეგები, განსაკუთრებით, თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა, წამების, გაუპატიურების ან ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობისა და ადამიანის ტრეფიკინგის ძალადობის მსხვერპლებთან მიმართებით.
  2. წარმოადგინეთ სრული ინფორმაცია მე-6 მუხლით განსაზღვრული საბუთების ტიპის, სახელწოდებისა და ფორმატის შესახებ.
  3. მე-15 მუხლზე მითითებით, გთხოვთ მიუთითოთ, თუ რა ფარგლებში ვრცელდება ნებისმიერი კონკრეტული პირობა განმცხადებლის შრომის ბაზარზე წვდომაზე და დეტალურად აღწეროთ ასეთი შეზღუდვები.
  4. მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტზე მითითებით, გთხოვთ აღწერეთ, როგორ ხდება მიღების მატერიალური პირობების უზრუნველყოფა (მაგალითად, მიღების მატერიალური პირობებიდან რომელი მიეწოდება ნატურალურად, ფულადი სახით, ვაუჩერით ან ამ ელემენტთა კომბინაციით) და მიუთითეთ ყოველდღიური ხარჯების შემწეობის დონე, რომელიც განმცხადებელს ეძლევა.
  5. საჭიროების შემთხვევაში, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტზე მითითებით, გთხოვთ განმარტოთ ეროვნული კანონის ან პრაქტიკის ასპექტები, რომლებსაც განმცხადებლისთვის მიწოდებული ფინანსური დახმარების დონე ეფუძნება. როდესაც განმცხადებელთა მიამრთ მოპყრობა მოქალაქეებთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელია, ახსენით მისი მიზეზები.
-

## დანართი II

ნაწილი „ა“

გაუქმებული დირექტივა

(მითითებულია 32-ე მუხლში)

საბჭოს დირექტივა 2003/9/EC	<a href="#">(OJ L 31, 6.2.2003, გვ. 18)</a> .
----------------------------	---

ნაწილი „ბ“

ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადა

(მითითებულია 32-ე მუხლში)

დირექტივა	ტრანსპოზიციის ვადა
2003/9/EC	2005 წლის 6 თებერვალი

## დანართი III

კორელაციის ცხრილი

დირექტივა 2003/9/EC	ეს დირექტივა
მუხლი 1	მუხლი 1
მუხლი 2, შესავალი ფორმულირება	მუხლი 2, შესავალი ფორმულირება
მუხლი 2(ა)	—
მუხლი 2(ბ)	—
—	მუხლი 2(ა)
მუხლი 2(გ)	მუხლი 2(ბ)
მუხლი 2(დ), შესავალი ფორმულირება	მუხლი 2(გ), შესავალი ფორმულირება
მუხლი 2(დ)(i)	მუხლი 2(გ), პირველი აბზაცი
მუხლი 2(დ)(ii)	მუხლი 2(გ), მეორე აბზაცი
—	მუხლი 2(გ), მესამე აბზაცი

მუხლი 2(ე), (ვ) და (ზ)	—
—	მუხლი 2(დ)
მუხლი 2(თ)	მუხლი 2(ე)
მუხლი 2(ი)	მუხლი 2(ვ)
მუხლი 2(კ)	მუხლი 2(ზ)
მუხლი 2(ლ)	მუხლი 2(თ)
მუხლი 2(მ)	მუხლი 2(ი)
—	მუხლი 2(კ)
—	მუხლი 2(ლ)
მუხლი 3	მუხლი 3
მუხლი 4	მუხლი 4
მუხლი 5	მუხლი 5
მუხლი 6(1) - (5)	მუხლი 6(1) - (5)
—	მუხლი 6(6)
მუხლი 7(1) და (2)	მუხლი 7(1) და (2)
მუხლი 7(3)	—
მუხლი 7(4) - (6)	მუხლი 7(3) - (5)
—	მუხლი 8
—	მუხლი 9
—	მუხლი 10
—	მუხლი 11
მუხლი 8	მუხლი 12
მუხლი 9	მუხლი 13
მუხლი 10(1)	მუხლი 14(1)
მუხლი 10(2)	მუხლი 14(2), პირველი ქვეპუნქტი
—	მუხლი 14(2), მეორე ქვეპუნქტი

მუხლი 10(3)	მუხლი 14(3)
მუხლი 11(1)	—
—	მუხლი 15(1)
მუხლი 11(2)	მუხლი 15(2)
მუხლი 11(3)	მუხლი 15(3)
მუხლი 11(4)	—
მუხლი 12	მუხლი 16
მუხლი 13(1) - (4)	მუხლი 17(1) - (4)
მუხლი 13(5)	—
—	მუხლი 17(5)
მუხლი 14(1)	მუხლი 18(1)
მუხლი 14(2), პირველი პუნქტი, შესავალი ფორმულირება, პუნქტი (ა) და (ბ)	მუხლი 18(2), შესავალი ფორმულირება, პუნქტი (ა) და (ბ)
მუხლი 14(7)	მუხლი 18(2)(გ)
—	მუხლი 18(3)
მუხლი 14(2), მეორე ქვეპუნქტი	მუხლი 18(4)
მუხლი 14(3)	—
—	მუხლი 18(5)
მუხლი 14(4)	მუხლი 18(6)
მუხლი 14(5)	მუხლი 18(7)
მუხლი 14(6)	მუხლი 18(8)
მუხლი 14(8), პირველი ქვეპუნქტი, შესავალი ფორმულირება, პირველი აბზაცი	მუხლი 18(9), პირველი ქვეპუნქტი, შესავალი ფორმულირება, პუნქტი (ა)
მუხლი 14(8), პირველი ქვეპუნქტი, მესამე პუნქტი	—
მუხლი 14(8), პირველი ქვეპუნქტი, მესამე პუნქტი	მუხლი 18(9), პირველი ქვეპუნქტი, პუნქტი (ბ)
მუხლი 14(8), პირველი ქვეპუნქტი, მეოთხე	—

პუნქტი	
მუხლი 14(8), მეორე ქვეპუნქტი	მუხლი 18(9), მეორე ქვეპუნქტი
მუხლი 15	მუხლი 19
მუხლი 16(1), შესავალი ფორმულირება	მუხლი 20(1), შესავალი ფორმულირება
მუხლი 16(1)(ა), პირველი ქვეპუნქტი, პირველი, მეორე და მესამე აბზაცები	მუხლი 20(1), პირველი ქვეპუნქტი, პუნქტი (ა), (ბ) და (გ)
მუხლი 16(1)(ა), მეორე ქვეპუნქტი	მუხლი 20(1), მეორე ქვეპუნქტი
მუხლი 16(1)(ბ)	—
მუხლი 16(2)	—
—	მუხლი 20(2) და (3)
მუხლი 16(3) - (5)	მუხლი 20(4) - (6)
მუხლი 17(1)	მუხლი 21
მუხლი 17(2)	—
—	მუხლი 22
მუხლი 18(1)	მუხლი 23(1)
—	მუხლი 23(2) და (3)
მუხლი 18(2)	მუხლი 23(4)
—	მუხლი 23(5)
მუხლი 19	მუხლი 24
მუხლი 20	მუხლი 25(1)
—	მუხლი 25(2)
მუხლი 21(1)	მუხლი 26(1)
—	მუხლი 26(2)-დან (5)-მდე
მუხლი 21(2)	მუხლი 26(6)
მუხლი 22	—
—	მუხლი 27
მუხლი 23	მუხლი 28(1)



—	მუხლი 28(2)
მუხლი 24	მუხლი 29
მუხლი 25	მუხლი 30
მუხლი 26	მუხლი 31
—	მუხლი 32
მუხლი 27	მუხლი 33, პირველი ქვეპუნქტი
—	მუხლი 33, მეორე ქვეპუნქტი
მუხლი 28	მუხლი 34
—	დანართი I
—	დანართი II
—	დანართი III